დანართი №3

# ანონსი

**სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“** დაინტერესებულ საზოგადოებას, უპირველესად, კი პროფესიული განათლების დაუფლების მსურველებს აცნობებს, რომ მოქმედ, ავტორიზებულ პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამებთან ერთად, კოლეჯი 2023 წლიდან გეგმავს რამდენიმე ახალი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის, მ.შ. პროფესიული მომზადების პროგრამის, **„ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“** განხორციელებას.

პროგრამის მიზანია, მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების კონსტრუქციის ტიპების და მონტაჟისთვის გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების, ასევე სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების წესების აღწერა-დახასიათებას, მონტაჟისთვის საჭირო ნახაზის/სქემის წაკითხვას, უსაფრთხოების წესების დაცვით ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟს; შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას, ხარვეზების გამოსწორებას, წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციას.

პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სულ 120 საათი. სწავლა განხორციელდება, როგორც კოლეჯის კეთილმოწყობილ აუდიტორიასა და სასწავლო სახელოსნოში, ასევე რეალურ გარემოში - კომპანია **„დიო“**-ში.

*ინფორმაცია ახალი სასწავლო პროგრამების,*
*შესახებ დამატებით განთავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე.*